ოქმი:**ო12. 3726072001**

თარიღი:**13/03/2026**

ოქმი N 7

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისიის სხდომის

2026 წელი , 12 მარტი

ქ.ოზურგეთი

14:00 -16:00 საათი

თავმჯდომარეობდა: ტატა ბარამიძე- მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ: კომისიის წევრები: დ. ხურციძე, ნ. გოლიაძე, ვლ. ხავთასი, ი. დობორჯგინიძე, მ . ცქვიტინიძე, გ. სირაძე, ზ. სურგულაძე, გ. ჩავლეშვილი, ხ. ცერცვაძე, თ. ქავთარია, კ. კვაჭაძე.

სხდომის თავმჯდომარემ, ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1. ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ "მერაბ ბერძენიშვილის სახელობის სახვითი ხელოვნების ცენტრი"-ს მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე
თანამომხსენებელი: გერა გაგუა

2, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიშის მოსმენის შესახებ.

მომხსენებელი: ტატა ბარამიძე

თანამომოხსენებელი: ლიკა ბაქანიძე

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის პირველი საკითხი, აღნიშნა, რომ უდიდესი მნიშვნელობა აქვს საკრებულოს საკონტროლო-საზედამხედველო ფუნქციის განხორციელებისათვის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურებისა და მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი ა(ა).ი.პ-სა და შ.პ.ს-ების მიერ წლის განმავლობაში გაწეული საქმიანობის ანგარიშების მოსმენას, შემდეგ მოკლედ ისაუბრა ,,ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ "მერაბ ბერძენიშვილის სახელობის სახვითი ხელოვნების ცენტრი"-ს მიერ 2025 წელს გაწეულ საქმიანობაზე, ვრცლად კომისიის წევრებს ანგარიში გააცნო

თანამომხსენებელმა გ. გაგუამ,და და მანვე უპასუხა დასმულ შეკითხვებს. გალერეის ძირითადი საქმიანობაა ნიჭიერი მხატვრების გამოფენების მოწყობა, მხატვრებისათვის დახმარების გაწევა და დაზგური გრაფიკის განვითარების უზრუნველყოფა.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ კომისიის წევრებს მოკლედ გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ა(ა).ი.პ "ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკის" მიერ 2025 წელს გაწეული საქმიანობის ანგარიში კომისიის წევრებს ვრცლად გააცნო და უპასუხა დასმულ შეკითხვებს თანამომხსენებელმა ლ. ბაქანიძემ. აღინიშნა, რომ ცენტრალურ ბიბლიოთეკაში გასაახლებელია ინვენტარი, მოსაწერიგებელია ელგაყვანილობა და, რც მთავარია, მოსაწყობია ცენტრალური გათბობის სისტემა.

სხდომის თავმჯდომარემ ტ. ბარამიძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი ანგარიში აკმაყოფილებს არსებული კანონმდებლობით განსაზღვრულ მოთხოვნებს და შესაძლებელია მისი წარდგენა საკრებულოს სხდომაზე განსახილველად.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მიზანშეწონილად მიიჩნიეს წარმოდგენილი ანგარიშის საკრებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

გადაწყვიტეს:

საკრებულოში შემოსული ორივე ანგარიში წარდგენილ იქნას მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განხილვის, შეფასებისა და ცნობად მიღების მიზნით.

ტატა ბარამიძე

განათლების, კულტურის, სპორტის, ახალგაზრდულ საქმეთა, ჯანმრთელობისა და სოციალურ საკითხთა კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი